

**Mzia Burjanadze (Georgia)**

Doctor of Philology; Associate Professor - Department of Iranian Studies, Tbilisi State University.

E-mail : [mzividiti@yahoo.com](mailto:mzividiti@yahoo.com); [mzia.burjanadze@tsu.ge](mailto:mzia.burjanadze@tsu.ge)

Mobile: (00995 593) 46 45 65

**A Portrait in an Interview  
(Female Iranian Emigrant Writers)  
Summary**

**Key words:** Iran, female writers, emigration, nostalgia, search of identity, two cultures.

The issue of female writers is quite complicated in present-day Iranian reality. Another topical issue is emigration. Taking this into account, it is extremely interesting to observe the life and works of female Iranian writers in emigration. As it is impossible to embrace this ample literary material in one paper, I have focused on the interviews given by female emigrant writers.

Female writers have left their native land for diverse reasons. Yet, their emigration is mostly related to inevitability. Many of them have been forced to leave their motherland because of the political situation.

Some female writers have not been banished. Their emigration seems to be caused by their personal choice. However, the real reason is severe reality. In this case, their emigration is caused by the desire to avoid war and revolution and bring up their children in a safe environment.

In some cases, the emigration of female Iranian writers was based on the decisions of their spouses. The women automatically followed their husbands to foreign countries.

Representatives of the first generation of Iranian writers, who were scattered among different countries, wrote mostly in Persian and published their works in the publishing houses of their host countries. Only a few of them attempted to publish their books in Iran.

Due to various reasons, a major portion of emigrant writers, especially their second generation, prefer to write in the languages of their host countries.

the themes of female Iranian emigrant writers, their broad spectrum is worth interest.

The writers who write in Persian and intend to publish their books in Iran, select the themes very carefully, avoiding political complications.

The works of female emigrant writers are either translated into different languages or written in the languages of host countries. These works attract the readers' attention because they reflect the social life of women in the Islamic world. Apart from political issues, the main themes of these literary works are related to the search of identity and one's place in the Western world.

Farzaneh Milani, US-based writer and scholar, characterizes female Iranian emigrants as follows: "They know the value of difference and diversity. They stand on the boundary between Iran and the rest of the world and present a new kind of Persian literature on the international arena. Sometimes they are disoriented between two languages, two cultures and two identities".

**მზია ბურჯანაძე**  
**(საქართველო)**

ფილოლოგიის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ირანისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი  
E-mail : [mzividiti@yahoo.com](mailto:mzividiti@yahoo.com); [mzia.burjanadze@tsu.ge](mailto:mzia.burjanadze@tsu.ge)  
(00995 593) 46 45 65

### **პორტრეტი ინტერვიუში** **(ირანელი ემიგრანტი მწერალი ქალები)**

**საკვანძო სიტყვები:** ირანი, მწერალი ქალები, ემიგრაცია, ნოსტალგია, იდენტობის ძიება, ორი კულტურა.

მწერალი ქალების ფენომენი დღევანდელი ირანის რეალობაში მრავლისმომცველი თემაა. ასევე, აქტუალური თემაა ემიგრაცია. ამის გათვალისწინებით, ორმაგად საინტერესო ჩანს ემიგრაციაში მცხოვრებ ირანელ მწერალ ქალებზე დაკვირვება. ამჯერად ყურადღება ემიგრანტი ქალი მწერლების ინტერვიუებზე შევაჩერე.

მწერალი ქალების სამშობლოდან წასვლის მიზეზები სხვადასხვაა. ბევრი მათგანი პოლიტიკური დევნის გამო გახდა იძულებული, სამშობლოდან წასულიყო.

არიან ისეთებიც, რომელთა ქვეყნიდან წასვლა დევნას არ უკავშირდება. მათი ემიგრაცია თითქოს პიროვნულ არჩევანს წარმოადგენს, თუმცა ამ არჩევანსაც მძიმე რეალობა უდევს საფუძვლად. მათი გადასახლება ომსა და რევოლუციას გარიდებისა და შვილების უსაფრთხო გარემოში გაზრდის სურვილმა განაპირობა.

ისეც ხდებოდა, რომ ქალების ემიგრაცია ქმრის გადაწყვეტილებას ემყარებოდა და ისინი უცხოეთში ქმრების ცოლებად, გარკვეული თვალსაზრისით, უნებურად ხვდებოდნენ.

უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტული ირანელი მწერლების პირველი თაობის წარმომადგენლები უფრო მეტად სპარსულად წერდნენ და იმ ქვეყნებში გამოსცემდნენ თავიანთ ნაწერებს, სადაც შესაბამისი გამომცემლობები ეგულებოდათ. თითო-ოროლა თუ ცდილობდა საკუთარი წიგნების ირანში ბეჭდვას.

ემიგრანტი მწერლების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით, მათი მეორე თაობა, მასპინძელი ქვეყნის ენაზე წერას ამჯობინებს, მიზეზად კი სხვადასხვა ფაქტორს ასახელებს. მათ არჩევანში, მათ დამოკიდებულებაში ფასეულობების მიმართ და საკითხების პრიორიტეტულობაში იკვეთება პროფესიონალური თუ პიროვნული პორტრეტები.

ემიგრანტი მწერალი ქალების უმრავლესობა აღიარებს, რომ მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, რას წერს და არა ის, თუ როგორ წერს. თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც დღის მოდისა და

ხანმოკლე პოპულარობის ფასად ჭეშმარიტ ღირებულებებს არ ღალატობენ და მხატვრულსა და დოკუმენტურ პროზას შორის ტოლობის ნიშანს არ სვამენ.

რაც შეეხება ირანული დიასპორის წარმომადგენელი მწერალი ქალების შემოქმედების თემატურ სპექტრს, ის მართლაც მრავალფეროვანია და საინტერესოა მასზე შეჩერება.

მწერლები, რომლებიც სპარსულად წერენ და, მით უფრო, ირანში აპირებენ წიგნის გამოცემას, თემის შერჩევაში უფრო ფრთხილები არიან და აშკარა პოლიტიკურ შეფასებებს ერიდებიან.

მწერალი ქალების ლიტერატურა, რომელიც საზღვარგარეთ სხვადასხვა ენაზე ითარგმნება ან პირდაპირ მასპინძელი ქვეყნის ენაზე იწერება, დასავლელი მკითხველის ყურადღებას ისლამურ სამყაროში ქალების საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვის კუთხითაც იპყრობს. მათი ძირითადი თემები, თუ პოლიტიკურ საკითხებს არ ჩავთვლით, იდენტობის ძიებასთან, დასავლურ სამყაროში საკუთარი თავის აღმოჩენასთანაა დაკავშირებული.

როგორც მეჰრნუმ მაზარეი აღნიშნავს, “ქალებმა დაარღვიეს მასკულინური ლიტერატურის კლიშე, სადაც ქალი მხოლოდ მამაკაცთან კავშირში განიხილებოდა”.

ნეგარ ჯავადის რომანი “დეზორიენტირებული”, ერთგვარად, მაზარეის შენიშვნის ილუსტრაციაა. მასში ირანში ტაბუირებული, დასავლეთში კი ნებადართული და ფართოდ რეკლამირებული – უმცირესობათა საკითხი – წამყვანი თემაა.

ფარზანე მილანი, აშშ-ში მცხოვრები მწერალი და მკვლევარი, ასე ახასიათებს ირანელ ემიგრანტ ქალებს: “განსხვავებულობისა და მრავალფეროვნების ფასი ესმით. ირანისა და მსოფლიოს მიჯნაზე დგანან და საერთაშორისო ასპარეზზე სპარსული ლიტერატურის ახალ სახეს გამოხატავენ. დროდადრო ორიენტაციას კარგავენ და ორ ენას, ორ კულტურას, ორ ტრადიციასა და ორ იდენტობას შორის დაბორილებენ”.